

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №77**

13 სექტემბერი 2024 წ.
12:30 სთ

ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე
კომისიის წევრები- გიორგი ტყემალაძე, ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, თამარ ჩახვაშვილი, აკაკი ალადაშვილი, ავთანდილ ცინცაძე.

მოწვეული სტუმარი:

საფინანსო საქალაქო სამსახური - ლევან მიქავა.

სსიპ ქონების მართვის სააგენტო-მარიამ კვერნაძე

სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ხელაძე.

კომისიის სხდომა უფლებამოსილია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარუდგინა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ. **№11-01242563744;საკრ.№15-03242575-03 (13/09/24) №11-01242561892;საკრ.№12-032425686-03 (12/09/24)**

2. „ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.012.015) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“. **საკრ.№12-032423647-03 (23/08/24)**

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და სს „თელასს“ (ს/ნ: 202052580) შორის 2023 წლის 31 მაისს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული №ფ-699-6-28627 აუქციონის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 12 აგვისტოს №24.1382.1563 განკარგულებით გათვალისწინებული საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-0324229191-03 (16/08/24)**

4. „ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.035.010) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“. **საკრ.№12-032424371-03 (4/09/24)**

5. ქალაქ თბილისში, ათონელის ქ. N11/23-ში მდებარე 5 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.03.010.010) შპს „ამორატოსთვის“ (ს/ნ: 404659856) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032425010-03 (6/09/24)**

6. ქალაქ თბილისში, გია გულუას ქუჩაზე არსებული 658 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.18.05.001.111) 32 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „არქი ჰოთელისთვის“ (ს/ნ: 405076563) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე **საკრ.№12-03242501-03 (6/09/24)**

7. ქალაქ თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზ. N47-ის მიმდებარედ არსებული 133 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.03.035.580) და 221 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.03.035.581) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ყაზბეგის 47“-ისთვის (ს/ნ: 204538599) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032423923-03 (26/08/24)**

8. ქალაქ თბილისში, ტაბიძის ქ. N3/5-ის მიმდებარედ არსებული 19 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.05.074.020) შპს „იანისთვის“ (ს/ნ 405443355) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032423924-03 (27/08/24)**

9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ევროპროდუქტს“ (ს/ნ. 202227134) შორის 2020 წლის 26 მარტს გაფორმებული

პირობებით გამოცხადებული აუქციონის №9-509-18-24971 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ. №12-032425012-03 (6/09/24)**

10. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსა და მაცვალა ბერიანიძეს (პ/ნ: 01009008844) შორის 2024 წლის 16 მაისს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან მაცვალა ბერიანიძის (პ/ნ: 01009008844) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ. №12-032422847-03 (19/08/24)**

11. „ქ. თბილისში, პაატა დათუაშვილის ქუჩა N18/20-ში მდებარე, N01.14.02.013.217 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზოგიერთი (მშენებარე) ფართის, კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობის შედეგად დაზარალებული პირებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“

საკრ. №12-032425567-03 (11/09/24)

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

საკითხი წარმოადგინა ლევან მიქავამ.

გლდანის რაიონული გამგეობის წერილობითი მოთხოვნით, პროგრამის „გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში“ (პროგ/კოდი 01 01 08) მესამე კვარტლის გეგმა იზრდება 500 000 ლარით. გამგეობა აღნიშნავს, რომ აქტურად მიმდინარეობს კონტრაქტორი კომპანიების მიერ გზების ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოების შესრულება და მიმდინარე პერიოდში გეგმით გათვალისწინებული ასიგნებები საკმარისი არ არის.

იზრდება პროგრამის „კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები“ (პროგ/კოდი 02 09 01) მესამე კვარტლის გეგმა- 300 000 ლარით, ქ. თბილისის მასშტაბით კლდოვანი ფერდობების ჩამოწმენდისა და გამაგრების სამუშაოებთან დაკავშირებით.

დაბალანსებისთვის მცირდება პროგრამის „გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში“ (პროგ/კოდი 01 01 13) მესამე კვარტლის გეგმა 200 000 ლარით და პროგრამის „კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში“ (პროგ/კოდი 02 09 15) მესამე კვარტლის გეგმა 100 000 ლარით.

გამგეობა აღნიშნავს, რომ გიორგი ბრწყინვალეს ქ. 32-სა და მ. კოსტავას ქ. N74-ში, საჭირო გახდა დამატებითი სანიაღვრე ქსელის მოწყობა. ვინაიდან ვერ ხერხდება საჭირო ნებართვების დროულად მიღება, ვერ ესწრება სამუშაოების დაგეგმილ ვადებში დასრულება. ასევე მიმდინარე კვარტალში ვერ ესწრება გამწვანებითი სამუშაოების დასრულება, მიუხედავად იმისა რომ სკვერის მოწყობის სამუშაოები აქტიურ ფაზაშია დიდ დიღომში, მე-4 მ/რ, კორპ. N21-ის მიმდებარედ.

იზრდება პროგრამის „სანდრო მრევლიშვილის სახ. პროფესიული მუნიციპალური თეატრი“ (პროგ/კოდი 06 01 05) მესამე კვარტლის გეგმა 5000 ლარით.

საერთო ჯამში გადასახდელების მესამე კვარტლის გეგმა იზრდება 500 000 ლარით, რაც ბალანსდება შემოსავლების კვარტლის გეგმის ზრდით და ნაშთის ცვლილებით.

მომხრე-7

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ასევე გლდანის, საბურთალოს და ჩუღურეთის რაიონული გამგეობები ითხოვს მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების კვარტალურ ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებთან უმრავლესობამ გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების კვარტალური გადანაწილების ცვლილებას.

დღის წესრიგით წარმოდგენილი მომდევნო საკითხები კომისიის წევრებს წარუდგინა მარიამ კვერნაძემ.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.012.015) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.012.015) არსებული უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართები საკუთრებაში გადაეცემა 5 პირს (5 ოჯახს) , რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით.

კერძოდ: თეა ნოზაძე (პ/ნ 57001010281) დაკავებული ფართი - 54.11 კვ.მ, აკაკი ტყეშელაშვილი (პ/ნ 34001008469) დაკავებული ფართი - 51.67 კვ.მ, მანანა ძინძიბაძე (პ/ნ 38001041063) დაკავებული ფართი - 53.13 კვ.მ, ლამარა ხუციშვილი (პ/ნ 01027060614) დაკავებული ფართი - 33.82 კვ.მ, ზაზა ხუციშვილი (პ/ნ 01005022419) დაკავებული ფართი - 50.94 კვ.მ;

აღნიშნულ პირებს საერთო ჯამში გადაეცემათ 243.67 კვ.მ ფართი

შსს-ს ცნობებით დგინდება, რომ ზაზა ხუციშვილი 1998 წლიდან, აკაკი ტყეშელაშვილი 2010 წლიდან, თეა ნოზაძე დაახლოებით 23 წელია, ლამარა ხუციშვილი დაახლოებით 24 წელია, მანანა ძინძიბაძე დაახლოებით 12 წელია, ოჯახებთან ერთად ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე;

ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ ლამარა ხუციშვილი, თეა ნოზაძე 1993 წლიდან, ზაზა ხუციშვილი 1998 წლიდან, აკაკი ტყეშელაშვილი და მანანა ძინძიბაძე 2009 წლიდან ოჯახებთან ერთად ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და სს „თელასს“ (ს/ნ: 202052580) შორის 2023 წლის 31 მაისს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული №ე-699-6-28627 აუქციონის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 12 აგვისტოს №24.1382.1563 განკარგულებით გათვალისწინებული საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და სს „თელასს“ (ს/ნ: 202052580, შორის 2023 წლის 31 მაისს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული №ე-699-6-28627 აუქციონის ხელშეკრულების საფუძველზე სს „თელასს“ სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 5 წლის ვადით, გადაეცა ქ. თბილისში, გუდაუთის ქუჩა №2-ის მიმდებარედ 20.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ: 01.13.05.001.074), ენერგომობილუტის განთავსების მიზნით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2023 წლის 17 ივლისის №18-01231981305 წერილით მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება, ვინაიდან, მასზე ვრცელდება შიდა კვარტალური ურბანული გამწვანების არეალი და ასევე, დაუშვებელია მწვანე ნარგავების მოჭრა ან/და გადარგვა.

სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 17 ოქტომბრის №6713394 შუალედური გადაწყვეტილებით მოიჯარეს ეთხოვა შენობის განთავსების ალტერნატიული ვარიანტის წარდგენა სამსახურის მიერ შეთავაზებული დანართის (ორთოფოტოს) შესაბამისად.

2023 წლის 26 სექტემბერს მოიჯარემ განცხადებით მიმართა სააგენტოს და მოითხოვა განცხადებით წარდგენილი ორთოფოტოს შესაბამისად მიწის ნაკვეთის ჩანაცვლება, იმავე საკადასტრო ერთეულის ფარგლებში, იმავე ფართის მქონე სხვა მიწის ნაკვეთით.

არქიტექტურის სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია 20.00 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის გადაცემა (დანართით წარმოდგენილი ორთოფოტოს შესაბამისად, შეცვლილი ადგილმდებარეობით) შემდგომში ენერგო ობიექტის განთავსების მიზნით.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.035.010) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.035.010) არსებული უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართები საკუთრებაში გადაეცემა 4 პირს (4 ოჯახს), რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით. წარმოდგენილი პროექტის თანახმად, 4 პირს (4 ოჯახს) საკუთრებაში გადაეცემა მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართები, კერძოდ: ანა ხაბალაშვილი (პ/ნ 43001027786) დაკავებული ფართი - 41.52 კვ.მ, გულისა გრიგალაშვილი (პ/ნ 01029000059) დაკავებული ფართი - 28.88 კვ.მ, თამარი კალმახელიძე (პ/ნ 59001004654) დაკავებული ფართი - 48.23 კვ.მ, მინაია გულიევი (პ/ნ 01001078471) დაკავებული ფართი - 17.78 კვ.მ აღნიშნულ პირებს საერთო ჯამში გადაეცემათ 136.41 კვ.მ ფართი მსს-ს ცნობებით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ ზემოაღნიშნული პირები ოჯახებთან ერთად 2012 წლიდან ოჯახებთან ერთად ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ათონელის ქ. N11/23-ში მდებარე 5 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.03.010.010) შპს „ამორატოსთვის“ (ს/ნ: 404659856) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, შპს „ამორატოს“ (ს/ნ: 404659856) იჯარით გადაეცემა ქ. თბილისში, ათონელის ქ. N11/23-ში მდებარე 15 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.18.03.010.010) ღია კაფეს მოსაწყობად. აღნიშნული კომპანია ქირავნობის უფლებით ფლობს მიმდებარედ არსებულ უძრავ ქონებას (საკადასტრო კოდი: N01.18.03.010.003.01.564), აღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრესთან 2023 წლის 24 აგვისტოს გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე (რეესტრის ნომერი N23115551, დამოწმების თარიღი: 24.08.2023), 2028 წლის 10 აგვისტომდე ვადით.

მოთხოვნილ 15 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ღია კაფეს მოწყობასთან დაკავშირებით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წერილით, სააგენტოში წარმოდგენილ იქნა ქ. თბილისის მერიამი მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს 15.03.2024წ. გადაწყვეტილება, რომლითაც დადებითი შეფასება მიეცა ღია კაფესთვის მოთხოვნილი 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით განკარგვის საკითხს, მხოლოდ მსუბუქი სახის ავეჯის განთავსების რეკომენდაციით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარმოდგენილი 22.03.2024წ. N16-01240823045 წერილით, სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია, განსაკარგავი ტერიტორიის მიღმა დარჩეს 5 მეტრი თავისუფალი სივრცის დატოვება და მოითხოვა არსებულ სიტუაციაზე განახლებული ესკიზის წარმოდგენა, შესაბამისი პარამეტრების ჩვენებით. აღნიშნული სამსახურის პოზიცია ეცნობა დაინტერესებულ პირს, რომელმაც წარმოადგინა განახლებული დოკუმენტაცია შემცირებულ 5 კვ.მ მიწის ნაკვეთზე და ითხოვა მისი გადაცემა.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის აღნიშნული კომპანიისთვის იჯარით გადაცემას, 2028 წლის 10 აგვისტომდე ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 1500 ლარის ოდენობით.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, გია გულუას ქუჩაზე არსებული 658 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.18.05.001.111) 32 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „არქი ჰოთელისთვის“ (ს/ნ: 405076563) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

მარიამ კვინაძის მოხსენებით, შპს „არქი ჰოთელის“ (ს/ნ: 405076563) იჯარით გადაეცემა ქალაქ თბილისში, გია გულუას ქუჩაზე არსებული 658 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.18.05.001.111) 32 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, კიბის და პანდუსის მოსაწყობად. აღნიშნული კომპანია საკუთრების უფლებით ფლობს მიმდებარედ არსებულ, ქ. თბილისში, გულუას ქ. N22-ში მდებარე უძრავ ქონებას (საკადასტრო კოდი: N01.18.05.001.090).

სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილი სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილობითი ინფორმაციით, შეთანხმებულია საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა. შესაბამისად, აღნიშნული სააგენტო არ არის კიბისა და პანდუსის განთავსებისთვის მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემის წინააღმდეგი ხსენებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის შესაბამისად.

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის წერილით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილ იქნა ამ სამსახურის დადებითი პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება მოთხოვნილი 32 კვ.მ მიწის ნაკვეთის აღნიშნული კომპანიისთვის იჯარით გადაცემის საკითხი, 3 წლით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 4608 ლარის ოდენობით.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზ. N47-ის მიმდებარედ არსებული 133 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.03.035.580) და 221 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.03.035.581) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ყაზბეგის 47“-ისთვის (ს/ნ: 204538599) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მარიამ კვინაძის მოხსენებით, შპს „ყაზბეგის 47“-ს (ს/ნ: 204538599) იჯარით გადაეცემა ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზ. N47-ის (ს/კ: 01.14.03.035.004) მიმდებარე ტერიტორიაზე 410 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთი. განმცხადებელმა განმარტა, რომ შენობა (ს/კ: 01.14.03.035.004) ფუნქციონირებს საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციით. სურთ მის წინ არსებული გამწვანებული საფარის მოწესრიგება და მოსწავლეებისათვის სარეკრეაციო ზონის შექმნა. განცხადებაში მითითებულია, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს რეგულაციებით, აკრედიტაციისთვის საჭიროა სკოლის წინ სარეკრეაციო სივრცეების არსებობა, ასევე, გადაადგილების და სკოლაში შესვლის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. გარდა ამისა, განმცხადებლის განმარტებით მიმართა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს, არსებული შენობის ფასადის და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეჭრილი კიბის საფეხურებისა და გადახურვის მოწესრიგების და მოცულობითი ასოების დამაგრების მიზნით.

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს ეთხოვა საკითხის განმეორებით განხილვა, ტერიტორიაზე დარეგისტრირებული მიწის ნაკვეთების იჯარით გაცემასთან დაკავშირებით, მხოლოდ გამწვანების და კეთილმოწყობის მიზნით. სამსახურს შესაძლებლად მიიჩნია აღნიშნული მიზნით მოთხოვნილი ტერიტორიის იჯარის ფორმით გადაცემა.

მიწის ნაკვეთები შეფასდა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ და წარმოდგენილი დასკვნის მიხედვით, მათი წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2024 წლის 10 ივნისის მდგომარეობით განისაზღვრა შესაბამისად - 7980 (შვილიათას ცხრაას ოთხმოცი) ლარის და 13260 (ცამეტი ათას ორას სამოცი) ლარის ოდენობით (ჯამურად: 21240 (ოცდაერთი ათას ორას ორმოცი)) ლარი.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება მოთხოვნილი მიწის ნაკვეთების აღნიშნული კომპანიისთვის იჯარით გადაცემის საკითხი, 5 წლის ვადით, საერთო წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 21240 (ოცდაერთი ათას ორას ორმოცი) ლარის ოდენობით.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ტაბიძის ქ. N3/5-ის მიმდებარედ არსებული 19 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.05.074.020) შპს „იანისთვის“ (ს/ნ 405443355) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს განცხადებით მიმართა შპს „იანის“ (ს/ნ: 405443355) დირექტორმა და ითხოვა ქ. თბილისში, ტაბიძის ქ. N3/5-ის მიმდებარედ არსებული 19 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.05.074.020) იჯარით გადაცემა, ღია კაფეს მოსაწყობად. აღნიშნული კომპანია საკუთრების უფლებით ფლობს მიმდებარედ არსებულ უძრავ ქონებას (საკადასტრო კოდი: 01.15.05.074.004.01.673).

მოთხოვნილ მიწის ნაკვეთზე ღია კაფეს მოწყობასთან დაკავშირებით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წერილით, სააგენტოში წარმოდგენილ იქნა ქ. თბილისის მერიამი მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილება, რომლითაც დადებითი შეფასება მიეცა ღია კაფესთვის მოთხოვნილი 19 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით განკარგვის საკითხს.

სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის ღია კაფესთვის მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემის წინააღმდეგი.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი 19 კვ.მ. მიწის ნაკვეთის აღნიშნული კომპანიისთვის იჯარით გადაცემას, 5 წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 5700 ლარის ოდენობით.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ევროპროდუქტს“ (ს/ნ. 202227134) შორის 2020 წლის 26 მარტს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-509-18-24971 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ევროპროდუქტს“ (ს/კ: 202227134) (უფლებამონაცვლე: შპს „ჯი-თი გრუპი“ (ს/კ: 200119923); შორის 2020 წლის 26 მარტს გაფორმებულ პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-509-18-24971 ხელშეკრულების საფუძველზე, მყიდველს აუქციონის წესით, საკუთრებაში გადაეცა ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანის მე-12 კმ-ზე 15 000 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს.კ: 01.72.14.013.418 (შემდგომში: პრივატიზებული ქონება). ხელშეკრულების „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ქონების გადაცემის პირობად განისაზღვრა შემდეგი შეზღუდვა:

ბ) შეზღუდვა - მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავების შემდგომ.

დღეის მდგომარეობით, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში პრივატიზებული ქონების მესაკუთრედ აღრიცხულია შპს „ჯი-თი გრუპი“ (ს/კ: 200119923), შესაბამისად, ხელშეკრულებაში მყიდველის მხარეს წარმოადგენს აღნიშნული კომპანია.

მყიდველის მიერ სააგენტოში წარდგენილ იქნა განცხადება, რომლითაც მოითხოვა №01.72.14.013.418 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ხელშეკრულების „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობის გაუქმება.

მყიდველი მიუთითებს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს №14-39 დადგენილების მე-8 მუხლის 7¹ პუნქტზე, რომლის მიხედვითაც, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავების გარეშე, განაშენიანების რეგულირების წესების მე-19 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შესაძლებელია მიწის ნაკვეთების სამშენებლო გამოყენება, თუ ტერიტორიის სამშენებლო განვითარება ხორციელდება ერთეული ობიექტის (დამხმარე შენობა-ნაგებობებით ან მის გარეშე) განთავსების მიზნით (გარდა მრავალბინიანი ფუნქციის შემცველი ობიექტებისა), ტერიტორია უზრუნველყოფილია სათანადო სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურით და განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავება არ წარმოადგენს საპროექტო ტერიტორიის დაგეგმარების ერთადერთ შესაძლებლობას.

მყიდველის დასაბუთებით, ვინაიდან, ტერიტორიის სამშენებლო განვითარება ხდება ერთეული ობიექტის მშენებლობით - დამხმარე ნაგებობით (ერთი კონსტრუქციული შენობა, რომელშიც განთავსდება სატრანსპორტო საშუალების მომსახურების ობიექტი) და მასთან, ტერიტორია უზრუნველყოფილია სათანადო

სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურით, №01.72.14.013.418 საკადასტრო ერთეულის სამშენებლო განვითარება შესაძლებელია განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავების გარეშე.

სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს კორესპონდენციის თანახმად, თუკი საპროექტო ტეროტორიაზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.013.418) დაგეგმილი განვითარება დააკმაყოფილებს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-8 მუხლის 7¹ პუნქტის მოთხოვნებს, შესაძლებელი იქნება შეზღუდვის გაუქმება და განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავების გარეშე პრივატიზებული ქონების სამშენებლო განვითარება.

ამასთან, პრივატიზებული ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრისათვის, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის მომზადებისას გათვალისწინებული არ ყოფილა ხელშეკრულების „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შეზღუდვა: „მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავების შემდგომ“. შესაბამისად, ხელშეკრულების „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობის გაუქმების შემთხვევაში მყიდველის მიერ რაიმე თანხა დამატებით არ გადაიხდება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად იქნა მიიჩნეული სააგენტოსა და შპს „ევროპროდუქტს“ (ს/კ: 202227134) (უფლებამონაცვლე: შპს „ჯი-თი გრუპი“ (ს/კ: 200119923)) შორის 2020 წლის 26 მარტს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-509-18-24971 ხელშეკრულების „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობის („მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავების შემდგომ“) გაუქმება.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსა და მაცვალა ბერიანიძეს (პ/ნ: 01009008844) შორის 2024 წლის 16 მაისს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან მაცვალა ბერიანიძის (პ/ნ: 01009008844) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მარიამ კვარნაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსა და მაცვალა ბერიანიძეს (პ/ნ: 01009008844), შორის 2024 წლის 16 მაისს გაფორმდა „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულება.

ხელშეკრულების 1.2 პუნქტის თანახმად, ქონების შემძენს საკუთრებაში გადაეცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება მდებარე: ქ. თბილისი, კრწანისის I ჩიხი, №2ბ, სართული 2, ბინა №3, ფართობი: 99,70 კვ.მ (ს/კ 01.18.06.018.104.01.01.003). ხელშეკრულების 2.1 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების 1.2 პუნქტით განსაზღვრული ქონების გადაცემის სანაცვლოდ ქონების შემძენი ქ. თბილისში, ყიფშიძის ქუჩა №5-ში, კორპუსი „ბ“, II და III ბლოკი, პირველი სართულზე მდებარე №25 ბინაზე (ს/კ: 01.14.14.003.143.01.025) არსებულ საკუთრების უფლებაზე/მოთხოვნის უფლებაზე უარს ამბობს და აღნიშნულ უფლებას უსასყიდლოდ უთმობს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს (პუნქტი 2.1.). ხოლო ხელშეკრულების 2.2 პუნქტის თანახმად, ქონების შემძენი არაუგვიანეს 2024 წლის 31 მაისისა, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში უზრუნველყოფს ზემოხსენებულ ქონებაზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციას, უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში. ხელშეკრულების 6.2 პუნქტი, ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევისათვის (გარდა საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვადაგადაცილებით შესრულებისა) ითვალისწინებს პირგასამტეხლოს 100 (ასი) ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მის შესრულებამდე.

მარიამ კვარნაძის განმარტებით, ქონების შემძენმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო ვალდებულების (ს/კ: 01.14.14.003.143.01.025 რეგისტრირებულ ქონებაზე მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაცია, უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში) შესრულების მიზნით საჯარო რეესტრს მიმართა ხელშეკრულების გაფორმების დღესვე. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ არასწორად შეჩერებულ იქნა სარეგისტრაციო წარმოება. კერძოდ, მაცვალა ბერიანიძეს უსაფუძვლოდ მოეთხოვა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის წარდგენა მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, არასწორად დადგენილი ხარვეზის გამო, ქონების შემძენის მიერ ხელშეკრულების 2.2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება (არაუგვიანეს 31.05.2024 წლისა, ს/კ: 01.14.14.003.143.01.025 რეგისტრირებულ ქონებაზე მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაცია, უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში), შესრულდა ვადის დარღვევით - 2024 წლის 10 ივნისს, შესაბამისად ხელშეკრულების 6.2 პუნქტის საფუძველზე დაეკისრა პირგასამტეხლო 100 ლარის ოდენობით დარღვევის დიდიდან (01.06.2024 წ.) ვალდებულების შესრულებამდე (10.06.2024 წ.), რაც **ჯამში შეადგენს 1 000 (ათასი) ლარს**. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან სახეზეა, სააგენტოსა და ქონების შემძენს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, მიზანშეწონილია სააგენტოსა და ქონების შემძენს შორის გაფორმებული ხელშეკრულების 2.2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების 6.2 პუნქტის შესაბამისად, 2024 წლის 01 ივნისიდან 10 ივნისის ჩათვლით პერიოდზე, დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან (ჯამში - 1 000 ლარის ოდენობით) მაყვალა ბერიანიძის (პ/ნ: 01009008844) გათავისუფლება.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: „ქ. თბილისში, პაატა დათუაშვილის ქუჩა N18/20-ში მდებარე, N01.14.02.013.217 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზოგიერთი (მშენებარე) ფართის, კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობის შედეგად დაზარალებული პირებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“

მარიამ კვინაძის მოხსენებით, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის №419 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 20 თებერვლის N19.179.258 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 1 მარტის N47 განკარგულებების საფუძველზე, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებს /მათ უფლებამონაცვლებს შორის 2019 წლის 13 მარტს გაფორმდა ხელშეკრულება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“, რომლის თანახმადაც, კოოპერატივის წევრებმა, ზემოხსენებული განკარგულებების დანართით განსაზღვრული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, სრულად განაცხადეს უარი მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საბინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე. აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, ინტერესთა გამოხატვაში კონკურენტული შერჩევის საფუძველზე გამოვლენილ გამარჯვებულ პირსა - შპს „სამშენებლო კომპანია აპექს დეველოპმენტსა“ (ს/ნ: 404438649) და კოოპერატივის წევრებს შორის 2019 წლის 8 აპრილს გაფორმდა „უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის სანაცვლოდ სამშენებლო მომსახურების გაწევის შესახებ“ ხელშეკრულება და სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 5 ივნისის N882019442944 გადაწყვეტილებით, მიწის ნაკვეთზე დარეგისტრირდა კომპანიის საკუთრების უფლება.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ 2022 წლის 04 ივლისის N16-01221854248 (05.07.22 N12-0122186204-61) წერილით მიმართა სააგენტოს და ითხოვა პოზიცია ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტში ცვლილების, მათ შორის, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) 4.6-ით განსაზღვრის საკითხთან დაკავშირებით. სააგენტომ, წერილით თანხმობა განაცხადა მიწის ნაკვეთებზე განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) 4.6-ით განსაზღვრასთან დაკავშირებით იმ პირობით, რომ მათზე აშენებული შენობა-ნაგებობიდან კოოპერატივის წევრებისთვის გადასაცემ ფართზე (7100 კვ.მ.) დამატებით, სააგენტოს/ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადაეცემოდა კოეფიციენტის გაზრდის შედეგად მომატებული საანგარიშო ფართობის 16.1% - **1968 კვ.მ** საცხოვრებელი ფართი ე.წ. თეთრი კარკასის მდგომარეობაში, სააგენტოსა და მშენებლობის განმახორციელებელ კომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 7 ივლისის N22.1046.1131 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 ივლისის N335 განკარგულებებით მოწონებულ იქნა „ქალაქ

თბილისში, ფერდობი ნუცუბიძე, მიკრო/რაიონი III, კვარტალი III, წყალსაცავის ტერიტორიის მიმდებარედ, კორპუსი N1-2-4-ის მიმდებარედ, ქალაქი თბილისი, ინტენსიფიკაციის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.02.013.193) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 9 ივნისის N136 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი”, რომლითაც განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) განისაზღვრა **4.6-ით**;

სააგენტოსა და შპს „სამშენებლო კომპანია აპექს დეველოპმენტს“ (ს/ნ: 404438649) შორის 2023 წლის 28 აპრილს **1968 კვ.მ ფართის** მუნიციპალიტეტისთვის გადაცემასთან დაკავშირებით გაფორმდა უძრავი ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულება. მუნიციპალიტეტსა და კომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, კომპანიის მიერ **2 028 კვ.მ ფართობის** შესაბამის ინდივიდუალურ ფართებზე დარეგისტრირდა მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლება.

მარიამ კვერნაძემ განმარტა რომ, ვინაიდან მუნიციპალიტეტს კომპანიის მიერ გადაეცა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული კონკრეტული ფართობის მშენებარე ბინები, პროექტში მონაწილეობა შევთავაზეთ სხვადასხვა კოოპერატივის იმ წევრებს, ვისაც ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით ეკუთვნოდათ მუნიციპალიტეტსა და კომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული დაახლოებით იდენტური ფართი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ წარმოდგენილი პროექტით კოოპერატივის 3 (სამი) წევრს გადაეცემა ზუსტად იმ ფართობის ბინა, რაც უნდა გადასცემოდათ ფინანსთა სამინისტროს ბაზაში მითითებული ინფორმაციის მიხედვით (არაუმეტეს 1 კვ.მ-ით მეტი), შესაბამისად, მათ მიმართ საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრება სიმბოლური თანხის - 1 (ერთი) ლარის გადახდის ვალდებულება, ხოლო 1 (ერთი) პირს გადაეცემა ფინანსთა სამინისტროს ბაზაში მითითებულ ფართობზე მეტი ფართი, შესაბამისად, მის მიმართ განისაზღვრება საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვალდებულება, ფართებს შორის არსებული სხვაობის საბაზრო ღირებულების ოდენობით.

2024 წლის 10 ივნისის სამხარაულის ბიუროს დასკვნის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, პაატა დათუაშვილის ქუჩა N18/20-ში მდებარე N01.14.02.013.217 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაში მდებარე 1 კვ.მ ფართის (საცხოვრებელი ბინის) საბაზრო ღირებულება 2024 წლის 2 აპრილის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, განისაზღვრა **3 054 ლარით**.

შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით საკუთრების უფლება ცალკეულ ინდივიდუალურ საცხოვრებელ ფართებზე გადაეცემა ჯამში **3 (სამი) პირს** საპრივატიზებო საფასურით 1 (ერთი) ლარის ოდენობით, ხოლო **1 (ერთი) პირს** - ფართებს შორის არსებული სხვაობის საბაზრო ღირებულების - **37869.60** (ოცდაჩვიდმეტი ათას რვაას სამოცდაცხრა ლარი და სამოცი თეთრი) **ლარის** ოდენობით.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე



ირაკლი ხელაძე